ი/მ "გიორგი ტივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი 29 სექტემბერი 2023 წ.

ამა წლია 28 სექტემბერს დამკვეთის წერილობითი მომართვის საფუძველზე კვლევა ჩაუტარე საკ/კოდი:01.10.15.007.089; 10.10.15.007.184; 01.10.15.007.057 და 01.10.15.007.099 -ის სრულ ტერიტორიაზე .სულ დაფიქსირდა 15 ძირი მწვანე ნარგაობა.

საკ/კოდი:01.10.15.007.089-ის ტერიტორიაზე არის 2 ძირი ნარგაობა (#1, 11);

საკ/კოდი:01.10.15.007.184-ის ტერიტორიაზე არის 11 ძირი ნარგაობა (#3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 12, 13, 14, 15);

საკ/კოდი:01.10.15.007.057-ის ტერიტორიაზე არ არის ნარგაობა ;

საკ/კოდი:01.10.15.007.099-ის ტერიტორიაზე არის 1 ძირი ნარგაობა (#10)

მისამართი:

ქალაქი თბილისი , ზურაბ და თეიმუაზ ზალდასტანიშვილების ქუჩა, N:12

დამკვეთი:
შპს"ენერჯი სერვისი", ID ნომერი:205210369

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი:

საკვლევი ობიექტის რელიეფი ვაკეა. აღწერა -შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები.

ცხრილი№1

№	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (ფს.ყ. 10სმ-ზე)	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	კაკალი (Juglans regia)	ხე	43	ჯანსაღი	გადარგვა სპეც. მეთოდით
2	ლეღვი (Ficus carica)	ხე	13	ჯანსაღი	ხილკენკროვანი
3	თუთა (Morus)	ხე	29	ჯანსაღი	გადარგვა სპეც. მეთოდით
4	ჭერამი (Prunus armeniaca)	ხე	33	ჯანსაღი	ხილკენკროვანი
5	ტუია (Thuja occidentalis)	ხე	5	ზეხმელი	მოჭრა
6	თუთა (Morus)	ხე	24	ჯანსაღი	გადაბელილი შესაძლებელია გადარგვა/გახარება
7	ჭერამი (Prunus armeniaca)	ხე	23	ჯანსაღი	ხილკენკროვანი
8	ატამი (Prúnus pérsica)	ხე	1	ჯანსაღი	ხილკენკროვანი
9	ხემყრალი (Ailanthus altissima)	ხე	23	ჯანსაღი	სამღეროიანი შესაძლებელია გადარგვა/გახარება
10	ლეღვი (Ficus carica)	ხე	14	ჯანსაღი	ხილკენკროვანი
11	ლეღვი (Ficus carica)	ხე	6	ჯანსაღი	ხილკენკროვანი
12	კაკალი (Juglans regia)	ხე	20	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა/გახარება
13	კაკალი (Juglans regia)	ხე	27	ჯანსაღი	გადარგვა სპეც. მეთოდით
14	ხემყრალი (Ailanthus altissima)	ხე	5	ჯანსაღი	შესაძლებელია გადარგვა/გახარება
15	ქლიავი (Prunus domestica)	ხე	8	ჯანსაღი	ხილკენკროვანი

ტერიტორიაზე არსებული ხე–მცენარეების რაოდენობა : 15

გადარგვა/გახარებას ექვემდებარება ხე-მცენარე : 7

ხილკენკროვანი ხე–მცენარეები : 7

ხმობადი ხე–მცენარეები : -

ზეხმელი ხე–მცენარეები : 1

კერძოდ:

იხ.ცხრილი№1

1.მარადმწვანე წიწვოვანი სახეობათა ხე-მცენარე და ბუჩქი 1 ძირი:

1 ძირი(№ 5) -*ტუია(Thuja occidentalis)*

2.მაღალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი ხე-მცენარე 5 ძირი:

3 ძირი(№ 1, 12, 13) -*კაკალი(Juglans regia)*

2 ძირი(№ 3, 6)- *თუთა(Morus)*

3. იაფი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი ხე-მცენარე 2 ძირი:

2ძირი(№ 9, 14) -*ხემყრალი(Ailanthus altissima)*

3.ხილკენკროვანი სახეობის ხე-მცენარე 7 ძირი:

12სმ და ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარე 3 ძირი:

1 ძირი(№ 11)- *ლელვი (Ficus carica)*

1 ძირი(№ 8)- *ატამი(Prúnus pérsica)*

1 ძირი(№ 15)- *ქლიავი(Prunus domestica)*

12სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარე 4 ძირი:

2 ძირი(№ 2, 10) -*ლელვი (Ficus carica)*

2 ძირი(№4, 7) -*ჭერამი(Prunus armeniaca)*

25 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარეების გადარგვა-გახარების მეთოდოლოგია საჭიროების შემთხვევაში:

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20- 25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და ორმოს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიანი ნიადაგის ნაზავით , რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ. სიღრმეზე, შემდეგ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილით ,რათა დარგვის დროს არ დაიშალოს მიწის კომი. არ დაზიანდეს მცენარის ღერო , ფესვთასისტემა და ვარჯი. ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს დაფიქსირება რამოდენიმე მხრიდან , რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა სრულ გაჯირჯვებამდე.

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. ხის გადარგვის შემდგომ მაისიდან სექტემბრის ჩათვლით უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ. თითოეული მცენარისთვის წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს

(მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) . მორწყვის საუკეთესო დროა დილით 11-12 საათამდე და საღამოს 8 საათის შემდეგ.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა განახლდეს სარწყავი ჯამები, მოხდეს მიწის გაფხვიერება , სარეველა ბალახებისგან გაწმენდა. ფოთლოვანი ხის შემთხვევაში ფესვის ყელიდან ამონაყრის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეზე დავადებების და მავნებლების წინააღმდეგ ჩასატარებელი ღონისძიებები სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე ,(ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს მცენარის დარგვიდან მესამე წელს.(შესატანი სასუქების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

რაც შეეხება 25სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარეებს ითვლება მაღალი ტანის ეგზემპლარებად, რომელთა გადარგვას ჭირდება სპეციფიკური მეთოდოლოგიის შემუშავება.

ჯანსაღი ხე-მცენარის გადარგვა უნდა მოახდინოს შესაბამისი პროფესიის სპეციალისტმა, რომელიც პირველი მორწყვის ჩათვლით ზედმიწევნით შეასრულებს გადარგვის ყველა პირობას.რაც შეეხება მცენარის გახარებას, მის შემდგომ მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელმა პირმა ზედმიწევნით უნდა შეასრულოს ყველა რეკომენდაცია, რაც საგრძნობლად გაზრდის მცენარის გახარების პროცენტს.

ექსპერტი:

გიორგი ტივაძე




2


3


4


5


6


7


8


9


10


11


12


13


14


15

საქართველო
ქ.თბილისი, ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების ქუჩა, შპს "ენერჯი სერვისის" საკუთრებაში არსებული 4 ნაკვეთის (ს.კ 01.10.15.007.099-01.10.15.007.057-01.10.15.007.089-01.10.15.007.184)

ტოპოგრაბიული გეგმა
მასშტაბი 1:500



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984 -ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

საცხ. შენობა	ბორდიული	ჭიშკარი	ბუჩქი
არასაცხ. შენობა	ხის ღობე	ბეტონი	
ფარდული	ღობე	წყალგაყვანილობა	ა.გზა
მშენებარე შენობა	ქვის კედელი	გაზი	
დახსმული ბეტონი	კედელი	კანალიზაცია	
ხეები	ფლატე	სანიაღვრე	
გარე განათება	რკინიგზა	კავშირგაბმულობა	
	სამოთვალყურეო ჭები	ელ. ქსელები	
	ელ. გადამცემი ხაზი		

შენიშვნა: 1) რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

შპს "საქტრანსპროექტი"
ა.წერეთლის №142
ს/კ 202176929

აზომა:	ო. თვაური
დახაზა:	ი. აბესაძე

20.09.2023 წ.